სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მალხაზ ასლამაზაშვილის

ანგარიში

სსიპ კოლეჯში ,,აისი“ 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის, გამოწვევების და სამომავლო მიზნების შესახებ

I. არსებული მდგომარეობის ანალიზი

2024 წელს სსიპ კოლეჯში ,,აისი” პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა წარიმართა წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების შემდეგ ძლიერი და სუსტი მხარეების, ძირითადი პრობლემების და საფრთხეების გათვალისწინებით, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრით და პრიორიტეტების გამოკვეთის საფუძველზე. შედგა 2024 წლის სამოქმედო გეგმა. 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის და გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად დაიგეგმა 2024 წლის აქტივობები. წლის განმავლობაში პერიოდულად მიმდინარეობდა გეგმების შესრულების მხარდაჭერა, მონიტორინგი და შედეგების შემოწმება.

შეიცვალა საშტატო განრიგში სახელფასო ნუსხა და კოლეჯის სტრუქტურა. დაიხვეწა შიდა ნორმატიული დოკუმენტები. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კოლეჯში სასწავლო პროცესის, საქმისწარმოების, რეესტრის და შესყიდვების, სამზარეულოს, კამპუსის ეფექტურობის ამაღლების მიზნით. თუმცა რჩება გარკვეული პრობლემები სასწავლო პროცესის, სამეწარმეო საქმიანობის დაწყების საქმეში. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს პერიოდში ყველა ეს პრობლემა მოიხსნება.

ჩვენი დაწესებულების მთავარი პრიორიტეტი იყო, არის და იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის ხარისხიანი განათლებისა და ხარისხიანი სერვისების მიწოდება. ამ მიზნის მისაღწევად ყველამ გუნდურად თავდაუზოგავად უნდა ვიშრომოთ. არ არსებობს წარმატების უნივერსალური გზა. წარმატების გასაღები ყოველდღიური შრომა, რიტმულობა და მუდმივი სწრაფვაა სრულყოფილებისაკენ და თქვენც ამისაკენ მოგიწოდებთ.

საანგარიშო პერიოდში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება/დანერგვის მიმართულებით განხორციელდა სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს სტანდარტების განახლება, შესაბამისად მიმდინარე თვეში განხორციელდა კონკრეტული პროგრამების ფარგლებში პროფესიისა და პროფესიული სტანდარტების დამტკიცება და მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით სტანდარტების ფართო ვალიდაცია რომელშიც აქტიურად არიან ჩართული კოლეჯის შესაბამისი დარგის სპეციალისტები, სტანდარტების ცვლილებამ განაპირობა, რომ მიმდინარე წელს ვერ განხორციელდა კონკრეტული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დამატება/დანერგვა.

სწავლისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით მიმდინარე წელს ჩატარდა ტრენინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირებისათვის, რომელიც ეხებოდა ინოვაციური და ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლების ხელშეწყობას, სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას.

შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის საკითხებთან მიმართებაში სასწავლო პროცესის მენეჯერების მიერ ხორციელდებოდა შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება, კოლეჯმა უზრუნველყო შეფასების ინსტრუმენტის ფორმის განახლება/დამტკიცება, განახლებული ინსტრუმენტის ფორმა ამოქმედდება 2025 წლიდან, შესაბამისად განხორციელდება ვალიდაციის კითხვარების მომზადება/შევსება.

ყოველდღიურად ხორციელდებოდა სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი, ხდებოდა გამცდენ სტუდენტებთან დაკავშირება გაცდენის მიზეზების დადგენისა და დასწრების გაუმჯობესების მიზნით.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაორგანიზდა ტრენინგი სტუდენტებისათვის, რომელიც ეხებოდა მიწის ინტეგრირებულ მართვასა და მდგრად სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას; დავაორგანიზეთ და ჩავატარეთ აგრო-ლიგა ცოდნის დემონსტრირებაზე დაფუძნებული კონკურსი, რომლის ფარგლებშიც გაიმარჯვა მევენახეობა-მეღვინეობის სტუდენტმა, მარიამ რუაძემ. „სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაციის“ მიერ მოეწყო ეროვნული აგრარული ოლიმპიადა, რომლის ფარგლებშიც პირველ ათეულში გავიდნენ ვეტერინარიის N13-2023 ჯგუფის სტუდენტები ნიკა აირაპეტიანი და ვალეხ ბადიროვი. "საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაცია" ფარგლებში გამოვლინდა ვეტერინარიის N13-2023 ჯგუფის წარმატებული სტუდენტი არტიომ ზოროღლიანი

სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ექსტრაკურიკულური აქტივობიდან გამომდინარე ხშირად იყენებენ სამრეწველო და ინოვაციური ლაბორატორიის დანადგარებს.

წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ახალი კომპანიების/ორგანიზაციების მოძიება და კომუნიკაციის დამყარება მათ წარმომადგენლებთან პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ერთობლივად განხორციელების მიზნით, მიმდინარე წელს პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან: შპს „ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი“; შპს „ღვინის კომპანია შუმი“; შპს „გიუაანი“; შპს „ალაზანი“; შპს „ტიბაანის გემო - ძველი ტრადიციები“; სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (მემორანდუმი); ი/მ გიორგი ჩიხლაძე (მემორანდუმი); შპს სტანდარტი A(მემორანდუმი); შპს „ჯიქეი ვაინერი“(მემორანდუმი), შპს ,,შალვინო“ (მემორანდუმი).

სოციალური პარტნიორების მონაწილეობის და ჩართულობის ამაღლების მიზნით კოლეჯის ბაზაზე განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, რომელიც ეხებოდა ცნობიერების ამაღლებას პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მნიშვნელობას, კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების განხილვას, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების დანერგვასა და დასაქმების ხელშეწყობის განვითარებას. შეხვედრის ფარგლებში, რესტორან „დერგთან“ და „ამბასადორი კაჭრეთთან“ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მემორანდუმი ითვალისწინებს ,,ქართული და უცხოური კერძების მომზადება” პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მხარეთა თანამშრომლობას. შეხვედრას ესწრებოდა 23 ბიზნეს ორგანიზაციის წარმომადგენელი. მიმდინარეობდა Erasmus+ ეგიდით ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებზე დასწრება, საკითხი ეხებოდა ერასმუს+ პროგრამის ზოგად მიმოხილვას, კონკურენტული სააპლიკაციო განაცხადის შესაძლებლობების განვითარებას (Capacity Building) და ალიანსები ინოვაციისთვის და კოოპერაციული თანამშრომლობის პროგრამებს.

ჩატარდა შიდა სტრუქტურული ტრენინგები სასწავლო პროცესში ჩართული ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, რომელიც ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტების მომზადება დახვეწის საკითხებს. დარგობრივი მიმართულებით პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის ჩატარდა ტრენინგი, აღნიშნულ ტრენინგს ასევე ესწრებოდნენ სასწავლო პროცესში ჩართული ადმინისტრაციის წარმომადგენლები

ასევე ჩატარდა შიდა ტრენინგები შუალედური შეფასებებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხების შემუშავებასთან დაკავშირებით.

კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და მასწავლებელთათვის სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების კუთხით ჯაიკას პროექტის ფარგლებში კოლეჯში მყოფი მოხალისეების მიერ წლის განმავლობაში ხორციელდებოდა აქტივობები რომელიც ეხებოდა იაპონიის კულტურის გაცნობას, ასევე პრაქტიკულად ხორციელდებოდა კულინარიის ხელოვნების მიმართულებით იაპონური ტრადიციული კერძების მომზადება, მათი ჩართულობით დაიგეგმა პირისპირი და ონლაინ შეხვედრები უცხოელ სპეციალისტებთან კულინარიის ხელოვნებისა და მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით, აღნიშნულ

შეხვედრებს ესწრებოდნენ კოლეჯის მასწავლებლები. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების მიმართულებით იაპონელი მოხალისე კოლეჯის დარგის სპეციალისტებთან ერთად ახდენდა ქიმიური ანალიზების გაკეთებას თანამედროვე დანადგარების გამოყენებით. მიმდინარე წელს პროფესიული უნარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში გამოცდილების მიღების მიზნით მებაღეობის პროგრამის მასწავლებელი ბექა შავაძე იმყოფებოდა გერმანიაში, რომელმაც დაბრუნების შედეგად უზრუნველყო მიღებული ცოდნის გაზიარება კოლეჯის მასწავლებლებისათვის

დაიგეგმა და განხორციელდა მასტერკლასები ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის თემაზე ,,ვეტერინარიის სფეროში არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები; ცხოველთა და ფრინველთა დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა". ქვემო ალვანის ფილიალში ჩატარდა მასტერკლასი კერამიკული ნაკეთობის დამზადებისა და მხატვრული ქსოვილების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

საგაზაფხულო მიღებაზე დარეგისტრირდა 329 აპლიკანტი. მათ შორის სსმ პირი-8. გამოცხადებული ადგილების რაოდენობა გვქონდა -276. საშემოდგომო მიღებაზე დარეგისტრირდავ 372 აპლიკანტი, მათ შორის სსმ პირი-11. გამოცხადებული ადგილების რაოდენობა გვქონდა -316. (სულ დარეგისტრირდა 701 აპლიკანტი. გამოცხადებული ადგილების რაოდენობა -592.) 2024 წლის საგაზაფხულო მიღებაზე მივიღეთ 240 სტუდენტი. მათ შორის: კაჭრეთში -55, ლაგოდეხში-73, დედოფლისწყაროში-88, ალვანში-24. საშემოდგომო მიღებაზე მივიღეთ 269 სტუდენტი. 3 სტუდენტი დემატა მომლოდინე რეჟიმიდან, სულ-272. ჩაირიცხა: კაჭრეთში -139, ლაგოდეხში-41, დედოფლისწყაროში-45, ალვანში-47.

გამოშვებული იქნა 439 სტუდენტი. სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა-1, შეუწყდა - 58 სტუდენტს.

დღეის მდგომარეობით სასწავლო პროცესი ხორციელდება:

კაჭრეთის ბაზა

გარდამავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 9 ჯგუფი

2024 წლის გაზაფხულის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- 5 ჯგუფი

2024 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- 12 ჯგუფი

დედოფლისწყაროს ფილიალი

გარდამავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2 ჯგუფი

2024 წლის გაზაფხულის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- 6 ჯგუფი

2024 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- 3 ჯგუფი

ლაგოდეხის ფილიალი

გარდამავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 1 ჯგუფი

2024 წლის გაზაფხულის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- 7 ჯგუფი

2024 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- 3 ჯგუფი

ქვემო ალვანის ფილიალი

გარდამავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი

2024 წლის გაზაფხულის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- 2 ჯგუფი

2024 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- 4 ჯგუფი

მიმდინარე წელს კოლეჯი ახორციელებდა მომზადების პროგრამებს:

სტატისტიკური ინფორმაცია მიმდინარე წელს განხორციელებული პროფესიული მომზადების პროგრამების კურსდამთავრებულების და დასაქმების შესახებ

N	პროგრამის დასახელება	დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა	რეგისტრაციის ტიპი	ჩარიცხული მსმენელების რაოდენობა (მათ შორის ქალი/კაცი)	სერტიფიკატები მიიღო (მათ შორის ქალი/კაცი)	დასაქმების მაჩვენებელი (%)	შენიშვნა
სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამის" ფარგლებში (II ეტაპი)							
1	თმის შეჭრა, შეღებვა და ვარცხნილობების გაკეთება (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანის ფილიალი)				12 ქალი	50%	პროგრამებზე სწავლა დაიწყო 2023 წლის 11 დეკემბერს
2	ხელით ელექტრორკალური შედუღება				12 კაცი	60%	
3	ელექტრული მონტაჟი საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლოს ფილიალი)				11 კაცი	73%	
4	თმის შეჭრა, შეღებვა და ვარცხნილობების გაკეთება (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლოს ფილიალი)				12 ქალი	75%	
სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამის" ფარგლებში (I ეტაპი)							
5	ელექტრონული მონტაჟი (დედოფლისწყაროს სოფ. სამრეკლოს ფილიალი)	12	დახურული	12 კაცი	12 კაცი	83%	
6	ხელით ელექტრორკალური შედუღება	12	დახურული	12 კაცი	12 კაცი	91%	
7	თმის შეჭრა, შეღებვა და ვარცხნილობების გაკეთება (ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანის ფილიალი)	12	დახურული	12 ქალი	12 ქალი	42%	

8	თმის შეჭრა, შეღებვა და ვარცხნილობების გაკეთება (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლოს ფილიალი)	10	დახურული	10 ქალი	10 ქალი	66%	
9	ტყის აღდგენა-გაშენება (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. შრომას ფილიალი)	12	დახურული	12 კაცი	12 კაცი	83%	
ა(ა)იპ უნარების სააგენტოს პროგრამების ,,ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში							
10	ვენახის გაშენება და მოვლა	17	ღია	12 6 ქალი, 6 კაცი	12 6 ქალი, 6 კაცი	83%	
11	ელექტრონული მონტაჟი (კაჭრეთის ბაზა)	19	ღია	12 კაცი	12 კაცი	83%	
12	მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე, დაკიდების სისტემისა და საჭით მართვის მექანიზმების სერვისი	20	ღია	12 კაცი	12 კაცი	83%	
13	ქართული და უცხოური კერძების მომზადება	36	ღია	15 12 ქალი, 3 კაცი	15 12 ქალი, 3 კაცი	80%	
14	ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა	17	ღია	12 4 ქალი, 8 კაცი			პროგრამაზე სწავლა დასრულდება 2025 წლის 21 თებერვალს
15	სერვისი და სერვირება	15	ღია	12 5 ქალი, 7 კაცი			პროგრამაზე სწავლა დასრულდება 2024 წლის 24 მარტს
ჯამი		**182**		**133**	**156**	**73%**	

პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურმა განახორციელა წარმატებული აქტივობები. პროფესიულ განათლებაში მოსახლეობის მეტად ჩართულობისათვის პროფორიენტაციის სამსახურის ძირითადი მუშაობა მიმართული იყო მოსახლეობის ინფორმირებისკენ და დაინტერესებულ პირთა კონსულტირებისაკენ. ამ მიზნით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტებში და სკოლებში. კოლეჯის ,,აისი“ სასწავლო ბაზებისა და და პროფესიული განათლების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით, მთელი წლის განმავლობაში განხორციელდა 36 სხვადასხვა საჯარო სკოლების დირექტორების, მასწავლებლების და სხვადასხვა კლასების მოსწავლეების ექსკურსიები კოლეჯში. მოსწავლეები ეცნობოდნენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და კოლეჯში მიმდინარე პროექტებს. მათ მიეწოდებოდათ ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვადასხვა ტიპის სტუდენტური სერვისების შესახებ. ეწყობოდა გაცნობითი ტურები და სხვადასხვა პროფესიული პროგრამების მასწავლებლების ჩართულობით ტარდებოდა მასტერკლასები, სადაც ადგილზე ეცნობოდნენ პრაქტიკული მეცადინეობის პრინციპებს და პროფესიული სწავლების სპეციფიკას. სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ მასტერკლასებში.

2024 წლის განმავლობაში კოლეჯ „აისსა“ და მის ფილიალებში სულ განხორციელდა 27 ექსკურსია, სადაც კახეთის რეგიონის 27 საჯარო სკოლის 500-ზე მეტი მოსწავლე იმყოფებოდა.

პროფესიული ორიენტაცია და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებულ პირთა კონსულტირება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა დაინტერესებული პირების გადაწყვეტილება პროფესიის არჩევისას იყოს სწორად მიღებული. პროფორიენტაციის მიზნით, 2024 წლის განმავლობაში კახეთის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების 21 საჯარო სკოლაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლის პირობების შესახებ. ასევე, რეგისტრაციის ვადების, შერჩევის ფორმების, ჩარიცხვის წესებისა და სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით. ასეთი შეხვედრებით ინფორმაცია მიიღო 400-მდე ახალგაზრდამ.

პროფორიენტაციის მიმართულებით განხორციელდა 9 რეგიონალური მნიშვნელობის ღონისძიება, 26 მაისს ქალაქ თელავში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ამავე დღეს, ქ. გურჯაანში ნატო ვაჩნძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა ნატო ვაჩნაძის 120 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება, 13 ივლისს მთის დღეებთან დაკავშირებით თუშეთობა, 26 აგვისტოს ახმეტის მუნიციპალიტეტში ტბათანობა, 2 სექტემბერს ახალგაზრდული ფესტივალი ალვანში, 1 ოქტომბერს ბიძინაობა ქ. ახმეტაში, 12 ოქტომბერს ღვინის ფესტივალი ქ. გურჯაანში, 13 ოქტომბერს სოფელ ქვემო ალვანში ყველის ფესტივალი და 20 ოქტომბერს ქ. თელავში ჭაჭის ფესტივალი. აღნიშნულ ღონისძიებებზე წარმოდგენილი იყო კოლეჯ „აისის“ და მისი ფილიალების სტუდენტების მიერ პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში დამზადებული პროდუქცია. პარალელურად, დამსწრე საზოგადოება იღებდა ინფორმაციას პროფესიული განათლებისა და კოლეჯ „აისში“ არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

პროფორიენტაციის კუთხით განხორციელდა კიდევ 7 მნიშვნელოვანი შეხვედრა: კახეთის რეგიონის მასშტაბით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრატეგიის 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა 7 საინფორმაციო შეხვედრა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან. საინფორმაციო შეხვედრები სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოიცავდა პროფესიული განათლების სისტემის შესახებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ინფორმირებას. ასევე, ჩატარდა ფართომასშტაბიანი ღია კარის დღე, სადაც მოწვეულ სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ვადების, აპლიკანტთა შერჩევის ფორმების, ჩარიცხვის წესებისა და სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში აღნიშნული აქტივობების განხორციელებით, კოლეჯ „აისისა“ და

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირმაცია მიიღო 2000-ზე მეტმა ადამიანმა. დარიგდა 3000-მდე საინფორმაციო ბუკლეტი.

II. **<u>2024 წელს მიღებული შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი</u>**

2024 წლის 1 იანვრისათვის სახაზინო კოდებზე არსებული ნაშთები შეადგენდა 1 815 831.75 ლარს.

მათ შორის:

ვაუჩერული დაფინანსება-1 338 686.45 ლარი .

ინფრასტრუქტურა-315 845 ლარი.

პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მიღებული გრანტები-161 030 ლარი.

მიზნობრივი გრანტები-270.3 ლარი.

2024 წელს კოლეჯს მიღებული აქვს შემოსავალი 4 838 376.91 ლარი.

დაფინანსებების მიხედვით თანხები ჩაირიცხა შემდეგნაირად:

პროგრამული დაფინასებით 1 655 492.31 ლარი.

ვაუჩერული დაფინანსებით-2 929 152 33 ლარი .

საკუთარი შემოსავლები-50 109.81 ლარი.

პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მიღებული გრანტები-202 622.46 ლარი

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი 1 000 ლარი. (წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიის გასაცემად).

ჩარიცხული თანხებიდან გაიხარჯა :

პროგრამული დაფინასება-1 655 492.31 ლარი.

შრომის ანაზღაურება- 1 178 451.14 ლარი,(თანამდებობრივი სარგო-1 044 266.59 ლარი, შრომითი ხელშეკრულებები-64 904.59 ლარი, პრემია საშტატო-59 505.6 ლარი,პრემია შრომითი ხელშეკრულებებით-3 323.95 ლარი.)

საქონელი და მომსახურება-477 041.17 ლარი,(მივლინება-9 510 ლარი, საქონელი და მომსახურება-464 174,7 ლარი,სხვა ხარჯები 3 356.47 ლარი,(ტრანსპორტის დაზღვევა).

ვაუჩერული დაფინანსებით-2 929 152.33 ლარი .

შრომის ანაზღაურება -1 351 320.24 ლარი.(თანამდებობრივი სარგო-1 304 945.53 ლარი, პრემია-46 374.71ლარი.)

საქონელი და მომსახურება-1 429 893.03 ლარი.

სულ ხარჯი 2024 წლისათვის-2 791 213.27 ლარი.

საკუთარი შემოსავლები-50 109.81 ლარი.

შრომის ანაზღაურება-12 960 ლარი.

საქონელი და მომსახურება-37 149.81 ლარი

პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მიღებული გრანტები-202 622.46 ლარი.

ნაშთი 2024 წლის 01.01-ში-161 030 ლარი.

შრომის ანაზღაურება-126 038.41 ლარი.

საქონელი და მომსახურება-150 616.95 ლარი.

ნაშთი 01.01.2025 წ.-86 997.1 ლარი.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი 1 000 ლარი.

სხვა ხარჯები-1000 ლარი.(წარჩინებულ სტუდენტთა სტიპენდია).

შესყიდვების მიმართულებით

2024 წელს სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა სხვადასხვა მუხლების შესაბამისად. შესყიდვები განხორციელდა ტენდერების, კონსოლიდირებული ტენდერების და გამარტივებული შესყიდვების წესით. დაფინანსების წყაროების მიხედვით ხელშეკრულებების რაოდენობები და ჯამური ღირებულებები ასე ნაწილდება:

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე: გაფორმდა 145 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით

- 128 384.41 ლარი.

მათ შორის : 2 370.2 ლარი, ელექტრონული ტენდერი.

1 381.38 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერი.

124 632 83 ლარი,გამარტივებული შესყიდვა.

საკუთარი სახსრები : გაფორმდა 269 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 1609 008.27 ლარი.

მათ შორის: 1 196 946 ლარი, ელექტრონული ტენდერი.

39 202 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერი.

372 860.27 ლარი, გამარტივებული შესყიდვა.

გრანტების მუხლში სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაიდო 146 964.92 ლარის ჯამური ღირებულების ხელშეკრულებები საქონელსა და მომსახურებაზე.

2024 წელს დაფინანსების სხვადახვა წყაროებით და შესყიდვის სხვადასხვა საშუალებებით კოლეჯისა და ფილიალების საჭიროებებისთვის, შესყიდულია - 1 884 357.60 ლარის საქონელი და მომსახურება.

წლის განმავლობაში მომზადებული და გამოცხადებულია 32 ელექტრონული ტენდერი დაფინანსების სხვადასხვა წყაროების შესაბამისად, საიდანაც შეწყვეტილია 1.

2024 წელს შესყიდვის გეგმაში განხორციელდა 30 ცვილება, რაც განპიროებებულია ახალი საჭიროებების დადგომით ან საბაზრო ფასის ცვლილებით, ასევე ახალი დაფინანსების მიღებით. შესყიდვის გეგმაში განხორციელებული ყველა ცვლილება სამსახურებრივი ბარათით წარგენილია დირექტორთან და შემდგომში, პროცედურების სრული დაცვით განხორციელდა ცვლილებები.

2024 წელს შესყიდვების სისტემაში, გადაუდებელი აუცილებლობის მუხლით განხორციელდა 2 ნებართვის მოთხოვნა და ორივე დაკმაყოფილდა დადებითად, ჯამური ღირებულებით გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით შეძენილია 5 883.20 ლარის საქონელი და მომსახურება.

მომზადდა 2025 წლის შესყიდვების გეგმა, რაც ეფუძნება სამსახურების და პედაგოგების მოთხოვნებით განპირობებულ შესყიდვის აუცილებლობას, მიმდინარე პერიოდის ბაზრის კვლევას, უახლოეს ჩატარებულ ტენდერებს და არსებულ სავარაუდო ფასებს. შესყიდვის გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა გასული წლის სტატისტიკური მონაცემების და მიღებული გამოცდილება. შესყიდვის გეგმის ჯამური ღირებულება შეადგენს 1 416 770 ლარს.

III. მიღწეული შედეგები

- გაიზარდა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა
- ინტენსიურად ხორციელდება საგრანტო პროექტები
- გაუმჯობესდა სტუდენტური სერვისები
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სწავლების ხარისხის ასამაღლებლად
- იზრდება კოლეჯის პოპულარიზაცია
- მიმდინარეობს სამეწარმეო საქმიანობისათვის მზადება

IV. არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები

- კვალიფიციური კადრების ნაკლებობა
- სასწავლო პროცესის ეფექტურობა
- სწავლების ხარისხი
- კერძო სექტორთან თანამშრომლობა
- ახალი პროფესიული სტანდარტები
- კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა
- ფილიალების განვითარება
- ინფრასტრუქტურული განვითარება
- კოლეჯის პიარი და ადამიანური რესურსების განვითარება

V. სამომავლო მიზნები და ამოცანები

- მუდმივი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ
- სწორი და ადექვატური თვითშეფასება
- მიღწევების გაუმჯობესება
- გაერთიანება საერთო მიზნების გარშემო
- სწავლების მაღალი ხარისხი; ხარისხის სისტემის განვითარება
- ადამიანური კაპიტალის განვითარება
- ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება
- პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია
- შიდა და გარე კონკურსებში ჩართულობა
- სამეწარმეო საქმიანობის დაწყება

ქალბატონებო და ბატონებო როგორც თავში ავღნიშნე, წინ კიდევ ბევრი გამოწვევა და საინტერესო სიახლეები გველის. შემდგომი წინსვლა და წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი გუნდის თვითოეულ წევრზე. გუნდის თვითოელმა წევრმა თავისი როლი უნდა შეასრულოს კოლეჯის წარმატებასა და წინსვლაში. ძალა ერთობაშია და მე მჯერა, რომ ერთად კორდინირებული მუშაობით მივაღწევთ სასურველ შედეგეს.